ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3723184001**
თარიღი:**03/07/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ მიმდინარე წლის 28 ივნისს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, დაბა ნარუჯაში ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების მემორიალის“ მოწყობის შესახებ.

კომისია აღნიშნავს:

1. ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების“ მემორიალის მოწყობა არის პატივის მიგება საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულ მებრძოლთა ხსოვნისადმი.
2. ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების“ მემორიალის არსებობა დაბა ნარუჯაში, ხელს შეუწყობს დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდავყოფას და თაობიდან თაობებზე გადაცემას.

კომისიამ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვიტა:

მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას მერის ინიციატივა - დაბა ნარუჯაში ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების მემორიალის“ მოწყობის შესახებ.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი